პროექტის ფაქტები

Funded by the European Union

პრევენცია, მზადყოფნა და რეაგირება ბუნებრივ და ტექნოგენურ კატასტროფებზე აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში - მე-3 ფაზა (PPRD EAST 3)

განხორციელების ვადა: 01.10.2020 - 30.09.2024

EaP ქვეყნები:

აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველოს, სომხეთი, უკრაინა

ევროკავშირის წვლილი: € 5 999 971

მთლიანი ბიუჯეტი: € 5 999 971

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Swedish Civil Contingencies Agency (MSB), Emergency Services Academy Finland, Ministry of Interior of the Slovak Republic – Section of Crisis Management, Centro

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/pprdeast3

პროექტის ვებსაიტები: pprdeast3.eu

პროექტის აღწერა:

პროგრამა PPRD EAST, დაწყებული 2010 წელს ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკური ინიციატივის ფარგლებში, მიზნად ისახავს კატასტროფების რისკის შემცირების და კრიზის-მენეჯმენტის გაძლიერებას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, და ევროკავშირის სამოქალაქო დაცვის მექანიზმთან რეგიონული თანამშრომლობის მხარდაჭერას. ამჟამად მიმდინარეობს პროგრამის მე-3 ფაზა, რომლის განხორციელების ვადაა 2020-2024 წლები. პროგრამის სამიზნე ჯგუფები არიან სამოქალაქო დაცვის უწყებები და წამყვანი სამინისტროები, სახელმწიფო სექტორის სხვა შესაბამისი მონაწილე მხარეები, სამეცნიერო წრეები, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი.

პროგრამა შექმნილია იმისათვის, რომ თითოეულ პარტნიორ ქვეყანაში მაქსიმალურად გამოვლინდეს გავლენა ეროვნულ საჭიროებებზე და პოტენციალზე რეაგირების საშუალებით ; გარდა ამისა, ის ხელს უწყობს ცოდნის, გამოცდილების და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებას პარტნიორ ქვეყნებს შორის და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან. პროგრამა უზრუნველყოფს ყველა სექტორისთვის მნიშვნელოვანი საკითხების, კერძოდ გენდერის, ეკოლოგიის და ადამიანის უფლებების ინტეგრაციას პროგრამის განხორციელებაში და ამით პროგრამის ზეგავლენის, მდგრადობის და რელევანტურობის გაძლიერებას.

თემატურად პროგრამა ფოკუსირებულია რვა მჭიდროდ დაკავშირებულ და ურთიერთგამაძლიერებელ სამუშაო პაკეტზე; ეს პაკეტებია პოტენციალის განვითარება, ცოდნის გადაცემა, კატასტროფებისადმი მზადყოფნა, სამოქალაქო დაცვის

მოსალოდნელი შედეგები:

- სამოქალაქო დაცვის წარმომადგენლების უკეთესი მომზადება, ადგილობრივი ტრენინგის პოტენციალის გაძლიერება და დაკავშირება სამოქალაქო დაცვის მექანიზმის კავშირის (UCPM) ტრენინგებთან.
- სამოქალაქო დაცვის უწყებების უზრუნველყოფა საფუძვლიანი ცოდნით, რომელიც აუცილებელია ევროპული კარგი პრაქტიკის და საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებისთვის კატასტროფებზე რეაგირების დროს.
- კატასტროფებისადმი მზადყოფნის პოტენციალის გაძლიერება აღმოსავლეთ სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებში კონკრეტული ფოკუსით რეაგირების დაგეგმვის გაძლიერებაზე ტრანსსასაზღვრო დონეზე.
- ეროვნული კორესპონდენტების და ოპერატიული 24/7 საკონტაქტო პირების ქსელის გაძლიერება, რომლის საშუალებით ვრცელდება გამაფრთხილებელი ინფორმაცია
- უწყებათაშორისო კოორდინაციის გაუმჯობესება შესაბამის სამინისტროებსა და სააგენტოებს შორის
- სამოქალაქო დაცვის პროფესიონალების, მოხალისეების და ფართო საზოგადოების უკეთესი ინფორმირებულობა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების საკითხებზე
- სამოქალაქო საზოგადოების და აკადემიური წრეების უკეთ ჩართულობა კატასტროფების პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების საკითხებში აღმოსავლეთ სამეზობლოს პარტნიორ ქვეყნებში
- გაუმჯობესებული თანამშრომლობა და კარგი პრაქტიკის გაზიარება პრევენციის, მზადყოფნის და რეაგირების საკითხებზე სამეზობლოს ქვეყნებს შორის, ასევე სამეზობლოს ქვეყნებსა და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს/სამოქალაქო დაცვის